აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59 ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 61

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის“ ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ.

ქ. ქუთაისი **23 თებერვალი 2016 წ.**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი (თან ერთვის).

2. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

დანართი
დამტკიცებულია:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 23 თებერვლის N 61 დადგენილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) ეთიკის კოდექსი (შემდგომში - „კოდექსი“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის წესდების (შემდგომში - „უნივერსიტეტის წესდება“) და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსით განისაზღვრება უნივერსიტეტში ქცევის სავალდებულო ნორმები, ქცევის სავალდებულო ნორმების დარღვევის გამო დისციპლინური გადაცდომის პირობები და დისციპლინური წარმოების პროცედურები და წესები.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსს შეიმუშავებს და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. ეთიკის კოდექსის ან მისი ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა, კოდექსში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

მუხლი 4. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი ემყარება აკადემიური თავისუფლების პრინციპს, რაც მოიცავს:

ა) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება;

გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლა.

მუხლი 5. აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) სამეცნიერო კვლევის თავისუფლებისათვის – საორგანიზაციო საკითხებსა და პრიორიტეტების განსაზღვრაში;

ბ) სწავლების თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, ლექციების ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში;

გ) სწავლის თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფაში.

მუხლი 6. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის მიზნები

1. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი წარმოადგენს უნივერსიტეტის მიზნების ხელშემწყობ სამართლებრივ აქტს.

2. ეთიკის კოდექსი ხელს უწყობს:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობით, სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული:

ა.ა.) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით, უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი, პროფესიული უმაღლესი აკადემიური განათლების მიღებით უზრუნველყოფილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას;

ა.ბ.) მეცნიერების განვითარება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნას; ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადებას და გადამზადებას, პიროვნული პოტენციალის

რეალიზებას და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას; პიროვნების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ა.გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას; აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში; თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა.

თავი II. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო

მუხლი 7. ეს კოდექსი ვრცელდება უნივერსიტეტის სტუდენტებზე, აკადემიურ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალზე, აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტებზე, მასწავლებლებზე აგრეთვე მსმენელისა და თავისუფალი მსმენელის სტატუსის მქონე პირებზე. ეთიკის კოდექსი აწესრიგებს მათი ქცევის წესებს უნივერსიტეტში სწავლის და მოღვაწეობის მთელი პერიოდისათვის. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი ასევე ნორმათა ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს სტუდენტის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევას და შესაბამის დისციპლინურ საქმისწარმოებას.

მუხლი 8. ამ კოდექსის მიზნებისათვის სტუდენტად მიიჩნევა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, უმაღლესი პროფესიული განათლების, მაგისტრატურის, ან დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;

მუხლი 9. ეს კოდექსი ვრცელდება იმ პირზე, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტის რომელიმე ცენტრში და სწავლის დასრულების შემდეგ მასზე გათვალისწინებულია შესაბამისი სერთიფიკატის გაცემა; აგრეთვე - პირი, რომელიც უნივერსიტეტის

ეგიდით რომელიმე ცენტრში გადის ტრენინგს. აღნიშნული პირებზე ვრცელდება უნივერსიტეტის სტუდენტისათვის ამ კოდექსით დადგენილი ნორმები.

თავი III. სტუდენტთა ეთიკის საერთო ნორმები

მუხლი 10. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები. უნივერსიტეტის სტუდენტის მხრივ ეთიკის ნორმების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას დადგენილი წესით.

მუხლი 11. სტუდენტისთვის არაეთიკურ ქცევად (ეთიკის ნორმების დარღვევად) ჩაითვლება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე და დერეფანში ხმაური, ლექციაზე მობილური ტელეფონით სარგებლობა და სხვა);

ბ) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში, გარდა საამისოდ ნებადართული ადგილისა;

გ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოტანა, გავრცელება და/ან მოხმარება;

დ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (შენობაში) აზარტული და გასართობი თამაშების მოწყობა და მათში მონაწილეობა;

ე) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);

ვ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;

ზ) ბილწსიტყვაობა (ბილწი, უხამსი, უშვერი, უწმაწური სიტყვების გამოყენება, უწმაწური საუბარი).

თ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან შენობაში შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

ი) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, აგრეთვე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების მიმართ.

კ) საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება;

ლ) უნივერსიტეტში ინტერნეტის რესურსების არადანიშნულებით გამოყენება;

მ) სიყალბე, კერძოდ:

მ.ა) გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც აკრძალულია უნივერსიტეტის მიერ;

მ.ბ) სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა;

მ.გ) ხელის შეშლა სხვა სტუდენტებისათვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით, გაფუჭებით ან განადგურებით;

მ.დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;

მ.ე) კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება;

მ.ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;
მ.ზ) პლაგიატი (სხვისი საავტორო და მომიჯნავე უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ მითვისება, რაც ნიშნავს სხვისი ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შექმნილი ნაწარმოების ან გამოგონების წყაროზე და ავტორის მიუთითებლად გამოყენებას საკუთარი სახელით;
მ.თ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;
მ.ი) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება;
მ.კ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
ნ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;
ო) პირადი ან ჯგუფური მიზნებისათვის უნივერსიტეტის დასახელების, ლოგოს ან სხვა ატრიბუტიკის გამოყენება უნივერსიტეტის მართვის ორგანოების თანხმობის გარეშე.
პ) მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა, რამაც გამოიწვია უნივერსიტეტის დისკრედიტაცია.

თავი IV. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის, აკადემიური პერსონალის, უნივერსიტეტის მასწავლებლისა და შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტის ეთიკის საერთო ნორმები

მუხლი 12. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე -მასწავლებელი, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოწვეული დარგის სპეციალისტი ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მხრივ ეთიკის ნორმების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას დადგენილი წესით.

მუხლი 13. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის, აკადემიური პერსონალისთვის, აგრეთვე - მასწავლებელისთვის და აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოწვეული დარგის სპეციალისტისთვის არაეთიკურ ქცევად (ეთიკის ნორმების დარღვევად) ჩაითვლება:
ა) უნივერსიტეტის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად მისი ჩადენის ადგილისა ან ფორმის;
ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირისგან საჩუქრის მიღება, რომელთანაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა ან პირისგან, რომლის დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან;
გ) სამეწარმეო ხასიათის საქმიანობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან შენობაში; აგრეთვე, ამ მიმართებით პროტექციის გაწევა სხვა პირის მიმართ;
დ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე და დერეფანში ხმაური, ლექციაზე მობილური ტელეფონით სარგებლობა და სხვა);
ე) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში, გარდა საამისოდ ნებადართული ადგილისა;

ვ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოტანა, გავრცელება და/ან მოხმარება;
ზ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (შენობაში) აზარტული და გასართობი თამაშების მოწყობა და მათში მონაწილეობა;
თ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;
ი) ბილწსიტყვაობა (ბილწი, უხამსი, უშვერი, უწმაწური სიტყვების გამოყენება საუბრის დროს).
კ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან შენობაში შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
ლ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, აგრეთვე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების მიმართ. ნებისმიერი მოქალაქის მიმართ, რომელიც იმყოფება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან შენობაში;
მ) მოქმედი კანონმდებლობის ისეთი სახის დარღვევა, რაც მიმართულია უნივერსიტეტის დისკრედიტაციისკენ;
ნ) აკადემიური სიყალბე, კერძოდ:
ნ.ა.) სხვა პირის ნაშრომის, როგორც საკუთარის წარმოჩენა;
ნ.ბ) ხელის შეშლა სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით, გაფუჭებით ან განადგურებით;
ნ.გ) სხვა პირისთვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;
ნ.დ) კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება;
ნ.ე) პლაგიატი (სხვისი საავტორო და მომიჯნავე უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ მითვისება, რაც ნიშნავს სხვისი ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შექმნილი ნაწარმოების ან გამოგონების წყაროზე და ავტორის მიუთითებლად გამოყენებას საკუთარი სახელით;
ნ.ვ.)თვითპლაგიატი (საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად)
ნ.ზ.) მონაცემების, ინფორმაციის ან ციტირების გაყალბება აკადემიურ ნაშრომში (ფალსიფიკაცია).
მუხლი 14. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის, აკადემიური პერსონალის, აგრეთვე - მასწავლებელის და აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოწვეული დარგის სპეციალისტის არაეთიკურ ქცევად (ეთიკის ნორმების დარღვევად) ჩაითვლება ასევე:
ა) არაკოლეგიალური დამოკიდებულება, რაც გულისხმობს კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობის ხელყოფა; ამ მიმართებით პირი ვალდებულია სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს კოლეგის საქმიანობა და ნაშრომები; კოლეგის მიმართ კრიტიკა უნდა იყოს კორექტული და კონსტრუქციული; დაუშვებელია უხეში და

მიუღებელი კომენტარები კოლეგის მიმართ, დაუშვებელია მისი დამცირება და შეურაცხყოფა;
ბ)უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება; დამცირება ან/და სხვა ფორმით შეურაცხყოფა;
გ) უნივერსიტეტის სტუდენტის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება; სტუდენტის დამცირება ან სხვა ფორმით შეურაცხყოფა.
დ) მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა, რამაც გამოიწვია უნივერსიტეტის დისკრედიტაცია.

თავი V. დამხმარე პერსონალის ეთიკის საერთო ნორმები

მუხლი 15. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალი ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის მხრივ ეთიკის ნორმების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას დადგენილი წესით.

მუხლი 16. დამხმარე პერსონალისთვის არაეთიკურ ქცევად (ეთიკის ნორმების დარღვევად) ჩაითვლება:
ა**)** სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა აუდიტორიაში, სადაც მიმდინარეობს ლექცია და სხვა);
ბ**)** თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში, გარდა საამისოდ ნებადართული ადგილისა;
გ**)** ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოტანა, გავრცელება და/ან მოხმარება;
დ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (შენობაში) აზარტული და გასართობი თამაშების მოწყობა და მათში მონაწილეობა;
ე) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);
ვ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;
ზ) ბილწსიტყვაობა (ბილწი, უხამსი, უშვერი, უწმაწური სიტყვების გამოყენება საუბრის დროს).
თ) უნივერსიტეტში ინტერნეტის რესურსების არადანიშნულებით გამოყენება და უნივერსიტეტში ინტერნეტით სარგებლობის წესების დარღვევა.
ი) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან შენობაში შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
კ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა
სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, აგრეთვე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების მიმართ.
ლ) უნივერსიტეტის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად მისი ჩადენის ადგილისა ან ფორმის;

მ) ფიზიკური ან იურიდიული პირისგან საჩუქრის მიღება, რომელთანაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა ან პირისგან, რომლის დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან;
ნ) სამეწარმეო ხასიათის საქმიანობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან შენობაში; აგრეთვე, ამ მიმართებით პროტექციის გაწევა სხვა პირის მიმართ;
ო) არაკოლეგიალური დამოკიდებულება, რაც გულისხმობს კოლეგის მიმართ არაობიექტურ კრიტიკას, დამცირებას და შეურაცხყოფას;
პ) უნივერსიტეტის სხვა პერსონალის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება; დამცირება ან/და სხვა ფორმით შეურაცხყოფა;
ჟ) უნივერსიტეტის სტუდენტის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება; სტუდენტის დამცირება ან სხვა ფორმით შეურაცხყოფა.
რ) უნივერსიტეტში კომპიუტერული თამაშებით სარგებლობა და ინტერნეტის რესურსების არადანიშნულებით გამოყენება.

თავიVI. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ქცევის სავალდებულო ნორმების დარღვევის გამო დისციპლინური გადაცდომის პირობები და დისციპლინური წარმოების პროცედურები

მუხლი 17. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ქცევის სავალდებულო ნორმების სავალდებულოა შესასრულებლად. ნორმის დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

მუხლი 18. უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის გამო შეიძლება გამოყენებული იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმა (ზომა). დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმა (ზომა) უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის კოდექსის დამრღვევი პირის სტატუსს, დარღვევის ხარისხსა და სიმძიმეს.

მუხლი 19. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტზე ხორციელდება დისციპლინური საქმისწარმოება. უნივერსიტეტში დისციპლინურ საქმისწარმოებას ახორციელებს უნივერსიტეტის ეთიკის კომისია, ხოლო სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევაზე საქმისწარმოებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 20. ეთიკის კომისიის საქმიანობა არ ვრცელდება სტუდენტის მიმართ. ამასთან, ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის კომისიის საქმიანობის წესი არ შეიძლება გავრცელდეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოებაზე.

თავი VII. უნივერსიტეტის ეთიკის კომისია მუხლი 21. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის შემადგენლობა

1. უნივერსიტეტის ეთიკის კომისია შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან ერთს ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ერთს ირჩევს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო, ერთს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, ერთს ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხოლო ერთს ირჩევს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა. უნივერსიტეტის ეთიკის

კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენელი.
2. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის წევრთა არჩევის/დანიშვნის დროს უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოები და სტუდენტური თვითმმართველობა ირჩევს/ნიშნავს ეთიკის კომისიის სარეზერვო წევრს.
3. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის წევრი აირჩევა (დაინიშნება) 2 წლის ვადით. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის წევრად პირი შეიძლება იქნეს არჩეული (დანიშნული) ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. კომისიის წევრის არჩევამდე (დანიშვნამდე) საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა.
4. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
5. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის წევრთაგან ხმათა უმრავლესობით. უნივერსიტეტის ეთიკის კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის სამი წევრ ი მაინც.
6. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიაში საქმიანობა არის უსასყიდლო და არ ანაზღაურდება.
7. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:
ა) უნივერსიტეტის რექტორი;
ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმღვანელი;
გ) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი;
დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი;
ე) უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.
8. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის მიმართ ბოლო 2 წლის განმავლობაში გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
9. ეთიკის კომისიის წევრობისაგან განთავისუფლების საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) უნივერსიტეტიდან (სამსახურიდან) განთავისუფლება;
გ) დისციპლინური საქმის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება;
დ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;
ე) უფლებამოსილების ვადის გასვლა.
10. ეთიკის კომისიის წევრობისაგან განთავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის ეთიკის ნორმების დარღვევა.
11. გადაწყვეტილებას ეთიკის კომისიის წევრობისაგან გათავისუფლების შესახებ იღებს უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანო და სტუდენტური თვითმმართველობა წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასალების საფუძველზე. კომისიის წევრის ვადამდე განთავისუფლების შემთხვევაში კომისიის შემადგენლობაში ხორციელდება ცვლილება სარეზერვო წევრით, ხოლო ასეთი არარსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანო ან

სტუდენტური თვითმმართველობა ირჩევს/ნიშნავს კომისიის ახალ წევრს არაუგვიანეს 1 კვირისა.

მუხლი 22. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის საქმიანობის პრინციპები

1. ეთიკის კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, კოლეგიალობის, თანასწორობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების საფუძველზე.

2. ეთიკის კომისია დისციპლინურ საქმეს განიხილავს მიუკერძოებლად და ობიექტურად, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე.

3. ეთიკის კომისიის სხდომები ღიაა, ხოლო დისციპლინური საქმის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაცია – საჯარო. სხდომის დახურვისა და ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის საკითხი წყდება ეთიკის კომისიის დასაბუთეული გადაწყვეტილებით მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე აგრეთვე თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. ეთიკის კომისიის წევრი და დისციპლინური ბრალდების წარმდგენი პირი ვალდებული არიან დაიცვან ამ ინფორმაციის კონფიდენციალობა.

მუხლი 23. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს კომისიის საქმიანობას;

ბ) წარუდგენს კომისიას დასამტკიცებლად კომისიის სამუშაო რეგლამენტს;

გ) ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის რეგლამენტით დადგენილი წესით;

დ) წარუდგენს კომისიას მდივნის კანდიდატურას;

ე) რეგლამენტით დადგენილი წესით იწვევს კომისიას, უძღვება მის სხდომებს, ხელს აწერს მიღებულ გადაწყვეტილებას და სხდომის ოქმს;

ვ) ახორციელებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს.

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობას, კომისიას თავმჯდომარეობს, მისი დავალებით ერთ-ერთი წევრი, ხოლო ასეთი დავალების არარსებობისას კომისიას თავმჯდომარეობს უხუცესი წევრი.

მუხლი 24. ეთიკის კომისიის მდივანი

1. ეთიკის კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის წევრთაგან 2 წლის ვადით.

2. ეთიკის კომისიის მდივანი:

ა) ახორციელებს კომისიის სხდომების მოსამზადებელ ღონისძიებებს;

ბ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომათა ოქმების წარმოებასა და გაფორმებას;

გ) ხელს აწერს დოკუმენტებს კომისიის რეგლამენტით გათვალისწინებული წესით;

დ) ორგანიზებას უწევს კომისიის ოფიციალური დოკუმენტაციის დაგზავნას.

მუხლი 25. ეთიკის კომისიის საქმიანობისა და დისციპლინური საქმის განხილვის ადგილი

1. ეთიკის კომისიის საქმიანობის ადგისალმყოფელი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

2. ეთიკის კომისია დისციპლინურ საქმეს განიხილავს სპეციალურად გამოყოფილ აუდიტორიაში. დისციპლინური საქმის განხილვა აუდიტორიის გარდა სხვა ადგილზე დაუშვებელია. აუდიტორიის გამოყოფას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 26. ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვის ფარგლები და ვადები

1. ეთიკის კომისიას უფლება არა აქვს გასცდეს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ დისციპლინური გადაცდომის განხილვის ფარგლებს. კოლეგიას აგრეთვე არა აქვს უფლება კომისიის სხდომაზე არსებითი მსჯელობის საგნად აქციოს ის ფაქტები ან გარემოებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომას.

2. ეთიკის კომისია დისციპლინურ საქმეს განიხილავს მისი მიღებიდან ერთ თვეში.

მუხლი 27 . დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძვლები

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის გამო, უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) დაინტერესებული პირის ან მართვის ორგანოს საჩივარი ან განცხადება, გარდა ანონიმური საჩივრისა ან განცხადებისა;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია უნივერსიტეტის პერსონალის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც შეიძლება დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალოს;

გ) დისციპლინური გადაცდომის ფაქტის აღმოჩენა ან გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს, რომ ადგილი აქვს უნივერსიტეტის პერსონალის მიერ უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის შესაბამისად დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს

დ) ეთიკის კომისიის წარდგინება უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ ახალი საფუძვლით დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ.

მუხლი 28. საჩივარი

1. საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. საჩივრის ავტორს შეუძლია გამოიყენის უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის მიერ დამტკიცებული საჩივრის ფორმა.

2. საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) განმცხადებლის ვინაობას, მისამართს და საკონტაქტო ინფორმაციას; (ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა).

ბ) განმცხადებლის წარმომადგენლის ვინაობას, მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა), თუ განმცხადებელს ჰყავს წარმომადგენელი;

გ) იმ უნივერსიტეტის პერსონალის (თანამშრომელის) ვინაობას, რომლის წინააღმდეგ არის საჩივარი აღძრული;

დ) განმცხადებლის მოთხოვნას;
ე) გარემოებებს, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა;
ვ) საჩივარზე დართული საბუთების ნუსხას, თუ ისინი თანდართულია, ასევე მოწმეთა ვინაობის შესახებ ინფორმაციას, თუ მათ შეუძლიათ საჩივარში მითითებული გარემოებების დადასტურება.
ზ) განმცხადებლის ხელმოწერას.
3. განმცხადებელმა შეუძლია მიუთითოს უნივერსიტეტის პერსონალის (თანამშრომის) მისამართი და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა), თუ ეს მისთვის ცნობილია.
4. განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს ეთიკის კომისიას მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს საჩივარში მითითებულ გარემოებებს.
5.საჩივარს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი, კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული საბუთი, თუ საჩივარი ეთიკის კომისიაში შეაქვს წარმომადგენელს.
6. ეთიკის კომისიაში საჩივრი და თანდართული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნას 5 ეგზემპლარად.

მუხლი 29. საჩივრის რეგისტრაცია

1. საჩივარი კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა გატარდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში და იმავე დღეს გადაეცეს ეთიკის კომისიას.
2. ეთიკის კომისია ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს საჩივარი მიღების დღესვე და მიუთითოს მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.
3. საჩივარი გადაეცემა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს ან მის არყოფნისას, კომისიის მიერ უფლებამოსილ ეთიკის კომისიის წევრს, რომელიც 5 დღის ვადაში გადასცემს საჩივარს ეთიკის კომისიის ყველა წევრს.
4. საჩივრის ერთი პირი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გადაეცემა იმ პირს, რომლის მიმართაც არის შედგენილი საჩივარი. საჩივარი პირს უნდა გადაეცეს კომისიის სხდომამდე 5 დღით ადრე.

მუხლი 30. საჩივრის პირველად განხილვაზე უარის თქმა

ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ:
ა) საჩივარის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში;
ბ) საჩივარი წარდგენილია ქმედუუნარო პირის მიერ;
გ) საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება;
დ) დაინტერესებული პირის სახელით საჩივარი შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;
ე) ეთიკის კომისიის წარმოებაშია დისციპლინური საქმე იმავე საქმეზე, იმავე საფუძვლით;
ვ) არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
ზ) საჩივარი არ შეიცავს ამ კოდექსით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.

მუხლი 31. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

1. მხარეებს უფლება აქვთ დისციპლინურ საქმის წარმოებაში მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლის მეშვეობით.

2. ეთიკის კომისიის წევრებს ეკრძალებათ მხარის წარმომადგენლობა დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში.

მუხლი 32. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა

1. დისციპლინურ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს სადისციპლინო კომისიის ის წევრი, რომელიც:

ა) თვითონ არის მხარე დისციპლინურ წარმოებაში;

ბ) დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია (ახლო ნათესავად ამ დებულების მიზნებისთვის ითვლება კანონისმიერი მემკვიდრე);

ე) სახელშეკრულებო ან პირად ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე მხარესთან ან მის წარმომადგენელთან;

ვ) არსებობს სხვა გარემოებები, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუშლის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას.

2. ეთიკის კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება ამ ჩამოცილდეს საქმის განხილვას.

მუხლი 33. დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერება

1. დისციპლინური საქმის წარმოება შეჩერდება, თუ:

ა) დისციპლინური საქმის გამოკვლევის მასალები აშკარად მიუთითებს პერსონალის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. ამ შემთხვევაში დისციპლინური საქმის მასალები ეგზავნება საგამოძიებო ორგანოს;

ბ) დისციპლინური საქმის გამოკვლევის პროცესში წარმოიშვა ისეთი ობიექტური სირთულე ან დაბრკოლება (იმ პირის ავადმყოფობა, რომლის წინააღმდეგაც წარმოებს

დისციპლინური დევნა, ან სხვა შემთხვევა), რომელიც დროებით შეუძლებელს ხდის ამ საქმის გამოკვლევას. ამ შემთხვევაში ეთიკის კომისია გადაწყვეტილებით აჩერებს დისციპლინური საქმის წარმოებას. დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში კომისია ვალდებულია განაახლოს საქმის წარმოება;

გ) დისციპლინური საქმის გამოკვლევის მასალები აშკარად მიუთითებს პერსონალის მიერ ეთიკის კოდექსის ისეთ უხეშ დარღვევაზე, რაც ითვალისწინებს სხვა ორგანოების მიერ საკითხის შესწავლას.

2. დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების პერიოდი არ ჩაითვლება ამ დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის დადგენილ ვადაში.

მუხლი 34. დისციპლინური საქმისწარმოების შეწყვეტა

უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება, თუ:

ა) დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად პერსონალის მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან მისი ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა;
ბ)პერსონალის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა;
გ) გაგზავნილი მასალის საფუძველზე პერსონალის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა;
დ) განთავისუფლდა სამსახურიდან.

მუხლი 35. ეთიკის კომისიის წევრის დისციპლინური საქმისაგან ჩამოცილება

1. ეთიკის კომისიის წევრი ვალდებულია ჩამოსცილდეს დისციპლინური საქმის განხილვას, თუ არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც მას ხელს შეუშლის ამ საქმის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხილვაში.
2. ეთიკის კომისია ვალდებულია ჩამოაცილოს კომისიის წევრი დისციპლინური საქმის განხილვას, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი მის მიერ საქმის მიკერძოებით და არაობიექტურ განხილვაში. გადაწყვეტილებას კომისიის წევრის ჩამოცილების შესახებ კომისია იღებს კომისიის დარჩენილი ოთხივე წევრის თანხმობით.
3. ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის განხილვის დროს ჩამოცილებული წევრის ადგილს იკავებს კომისიის სარეზერვო წევრი.

მუხლი 36. ეთიკის კომისიის აცილება

1. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ პირს, აგრეთვე დისციპლინურ პასუხისგებაში მიმცემ მართვის ორგანოს ან დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კომისიის წევრს მისცეს აცილება. იგი ვალდებულია დაასახელოს და დაასაბუთოს აცილების მოტივი.
2. შუამდგომლობას ეთიკის კომისიის, მისი წევრის აცილების შესახებ განიხილავს ეთიკის კომისია სათათბირო ოთახში.
3. აცილების შესახებ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ეთიკის კომისიის წევრის მიუკერძოებლობისადმი ეჭვი საფუძვლიანია.
4. ეთიკის კომისიის წევრის მიერ წარსულში დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა არ ჩაითვლება ეთიკის კომისიის წევრის მიკერძოებისა და აცილების საფუძვლად.
5. ეთიკის კომისიის წევრის აცილების შესახებ შუამდგომლობა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს, თუ არსებობს ამ კოდექსით განსაზღვრული რომელიმე გარემოება.
6. აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ეთიკის კომისია ეთიკის კომისიის აცილებული წევრის გარეშე აგრძელებს საქმის განხილვას.
7. აცილების შესახებ შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ეთიკის კომისია იმავე სხდომაზე აგრძელებს საქმის განხილვას.

მუხლი 37. ხანდაზმულობა, საჩივრის წარდგენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა. დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტა დადგენილი ვადის ამოწურვის გამო

1. ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანა დასაშვებია ეთიკის კოდექსის შესაბამისი ნორმების დარღვევიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდგომ საჩივარი და შესაბამისად დისციპლინური საქმისწარმოება არ განხორციელდება. დადგენილი ვადის აღდგენა დასაშვებია, თუ არსებობს ვადის არაბრალეულად გაშვების შემთხვევა, კერძოდ, – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით.

2.დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს ამ კოდექსიდან. დადგენილი ვადის ამოწურვისთანავე პირს ეხსნება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

3. დისციპლინური საქმის მიღებისას ეთიკის კომისია ვალდებულია მისი განხილვის დაწყებამდე შეამოწმოს, ხომ არ არის ამოწურული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის დადგენილი ვადა.

4. თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა ამოწურულია, ეთიკის კომისია ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და აცნობოს ეს გადაწყვეტილება მართვის ორგანოს აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც აღძრულია დისციპლინური დევნა.

მუხლი 38. დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერება ეთიკის კოდექსის დარღვევის ნიშნების არსებობის გამო

1. დისციპლინური საქმის მიღებისას ეთიკის კომისია ვალდებულია მისი განხილვის დაწყებამდე შეამოწმოს, ხომ არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს ქმედება, რომელიც საფუძვლად დაედო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას.

2. თუ დისციპლინური საქმის მასალების მიხედვით ქმედებაში ეთიკის კოდექსის დარღვევის ნიშნების არსებობა აშკარაა, ეთიკის კომისია არ იწყებს საქმის განხილვას,

აჩერებს დისციპლინური საქმის წარმოებას, საქმის მასალებს უგზავნის შესაბამის მართვის ორგანოს, აგრეთვე პირს, რომლის მიმართაც აღძრულია დისციპლინური დევნა.

მუხლი 39. დისციპლინური საქმის განსახილველად მომზადება

1. ეთიკის კომისია ნიშნავს კომისიაში საქმის განხილვის დღეს.

2. ეთიკის კომისიამ საქმის განხილვის ადგილი, დღე და საათი დროულად უნდა აცნობოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირს.

3. ეთიკის კომისია იწვევს მოწმეებსა და სხვა პირებს საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად და აცნობებს მათ საქმის განხილვის ადგილს, დღესა და საათს.

მუხლი 40. ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვა

1. ეთიკის კომისია საქმეს განიხილავს ეთიკის კომისიის სხდომაზე. სხდომას თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მომხსენებელი წევრი.

2. ეთიკის კომისიის სხდომას ხსნის კომისიის სხდომის თავმჯდომარე.

3. დისციპლინური საქმის განხილვა იწყება კომისიის ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელშიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის გადმოცემული დისციპლინური საქმის წარმოების ეტაპები და შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები.

4. მოხსენების მოსმენის შემდეგ სიტყვა ეძლევათ მხარეებს, პირველად – დაინტერესებულ პირს ან ორგანოს დოკუმენტების წარსადგენად, შემდეგ – დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემულ პირს საპასუხოდ. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულს უფლება აქვს ისარგებლოს დამცველის დახმარებით.

5. მხარეებს უფლება აქვთ სრულად გამოხატონ და სათანადოდ დაიცვან თავიანთი პოზიციები, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები, წარადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებები, აღძრან შუამდგომლობები სხვადასხვა დოკუმენტების, მასალების ან ინფორმაციის გამოქვეყნების, ანდა სხდომაზე მიწვეულ პირთა ინფორმაციების მოსმენის, დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის ან დამატებითი პირების მიწვევისა და მათი ინფორმაციების მოსმენის, შესაბამისი საქმის გამოთხოვის შესახებ, აგრეთვე განახორციელონ სხვა ღონისძიებები. შუამდგომლობებს განიხილავს ეთიკის კომისია.

6. ეთიკის კომისია უფლებამოსილია დაუსვას შეკითხვები მხარეებს ან საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ პირებს, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები ან ინფორმაცია, დამატებით მიიწვიოს სხვა პირები მათი ინფორმაციის მოსასმენად, გადადოს საქმის განხილვა არა უმეტეს ორი კვირით და განახორციელოს სხვა ღონისძიებები.

7. დისციპლინური ბრალდების წარმდგენი პირი შემოიფარგლება მხოლოდ დისციპლინური ბრალდების წაყენებითა და მისი დასაბუთებით. მას არა აქვს უფლება მოითხოვოს კონკრეტული დისციპლინური ზომის დაკისრება და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შეფარდება.

8. ეთიკის კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში.

მუხლი 41. მხარეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა

1. ეთიკის კომისია ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი პირობები და შესაძლებლობები თავიანთი პოზიციების გამოსახატავად და დასაცავად.

2. დაუშვებელია ეთიკის კომისიის წევრების რომელიმე მხარესთან წინასწარი შეხვედრა ანდა მისგან რაიმე ინფორმაციის მიღება მეორე მხარის დაუსწრებლად, ან მისთვის ამ ინფორმაციის შინაარსის გაუცნობლად, თუ ეს საქმის ორგანიზაციულ მხარეს არ ეხება.

3. ეთიკის კომისიის წევრი ვალდებულია საქმის განხილვამდე და განხილვის პროცესში არ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ან წინასწარი განწყობა ერთ-

ერთი მხარის სასარგებლოდ, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ეთიკის კომისიის მიუკერძოებლობა.

მუხლი 42. ეთიკის კომისიის სხდომა

1. კომისიის თავმჯდომარე ხსნის სხდომას, აცხადებს კომისიის შემადგენლობას, მდივნის ვინაობას და თუ რომელი დისციპლინური საქმე იქნება განხილული.
2. სხდომის მდივანი მოახსენებს კომისიას გამოცხადებულ პირთა ვინაობას, ასევე ინფორმაციას რომელიმე მხარის გამოუცხადებლობის და მისთვის შეტყობინების ჩაბარების თაობაზე.
3. კომისიის თავმჯდომარე განუმარტავს მხარეებს კომისიის რომელიმე წევრის მიმართ აცილების უფლებას, ასევე შუამდგომლობების და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის უფლებას.
4. კომისია მოისმენს განმცხადებლის ახსნა-განმარტებას და პასუხებს განხილვის კოლეგიის მიერ დასმულ შეკითხვებზე, მოისმენს განმარტებას და პასუხებს კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებზე, რის შემდეგაც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები. კომისიის გადაწყვეტილებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია დისტანციური საშუალებების გამოყენებით (ტელეფონი, ვიდეო ან სხვა ტექნიკური საშუალებები), თუ შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება.
5. მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, კომისია უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწოს სადავო ფაქტებთან დაკავშირებული მტკიცებულებები. კომისიას შეუძლია შეხვდეს მხარეებს ცალ-ცალკე და მოსთხოვოს მათ წერილობითი ახსნა-განმარტებების გაკეთება მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით დაუსვას მხარეებს შეკითხვები. ახსნა-განმარტება მტკიცებულების სახით დაერთვის საქმეს.
6. კომისიას უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს და შეკითხვებით მიმართოს მოწმეებსა და ექსპერტებს საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით, ასევე მისცეს მხარეებს მათთვის შეკითხვების დასმის საშუალება.
7. თუ მხარის მიერ დასმული შეკითხვა შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევას, განხილვის კომისიას შეუძლია მოხსნას ის თავისი ინიციატივით ან მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.
8. კომისიის სხდომის ბოლოს, მხარეებს უფლება აქვთ გამოვიდნენ შემაჯამებელი სიტყვით. რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარე სხდომას აცხადებს დახურულად.
9. კომისიის სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა ან გამოცხადებული მხარის უარი, მისცეს ახნა-განმარტება, ვერ დააბრკოლებს დისციპლინური საქმის განხილვას.
10. მხარეთა თხოვნით კომისიის სხდომა და საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს, მაგრამ არაუმეტეს 3 დღისა.

მუხლი 43. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება

1. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება მიიღება უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის სახელით. გადაწყვეტილებას კომისია იღებს დამსწრეთა უმრავლესობით.

2. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრის განსხვავებული აზრი წერილობით დაერთვის გადაწყვეტილებას.

3, ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის პერსონალისადმი დისციპლინური გადაცდომის არსებობის და შესაბამისად პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების ან დისციპლინური გადაცდომის არარსებობის და შესაბამისად პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ.

4. კომისიის გადაწყვეტილება გადაეცემა უფლებამოსილ პირს (ორგანოს), რომელსაც შესაბამისად აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობს დაკისრების, პასუხისმგებლობის ზომისა და მოქმედების ხანგრძლივობის განსაზღვრის უფლება, კერძოდ:

ა) რექტორს კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს კომპეტენციის ფარგლებში;

გ) აკადემიურ საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში;

დ) წარმომადგენლობით საბჭოს კომპტენეციის ფარგლებში;

ე) ფაკულტეტის საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში.

5. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. განსხვევებულ აზრის არსებობის შემთხვევაში კომისიის წევრი უფლებამოსილია შენიშვნის სახით მიუთითოს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებისგან განსხვავებული აზრი, რაც უნდა იქნეს დასაბუთებული.

6. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებს ხელს არ აწერს ის პირი, რომელიც არ ესწრება კომისიის შესაბამის სხდომას.

მუხლი 44. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევისთვის და შესაბამისად დისციპლინური გადაცდომისთვის უნივერსიტეტის პერსონალს (თანამშრომელს) უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად შეიძლება მიეცეს გაფრთხილება, დაუკავდეს ხელფასი მაგრამ არაუმეტეს 50 პროცენტისა ან განთავისუფლდეს სამსახურიდან.

მუხლი 45. ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი

1. კომისიის სხდომაზე შედგენილ ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

2. კომისიის სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) კომისიის სხდომის ჩატარების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;

ბ) კომისიის სხდომის დაწყების და დამთავრების დრო;

გ) ეთიკის კომისიის შემადგენლობა და სხდომის მდივანი.

დ) საქმის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი;

ე) სხდომაზე წარმოდგენილი მხარეებისა და სხვა პირების ვინაობას;

ზ) მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებებს და შეკითხვებზე პასუხი;

თ) მოწმეთა ჩვენებები, მტკიცებულებების გამოკვლევის მონაცემები;
ი) მხარეთა შემაჯამებელი განცხადებების შინაარსი;
კ) კომისიის სხდომის გადაწყვეტილებები.
3. მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქთ იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებათა შეტანის თაობაზე, რომელსაც მათი აზრით საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.
4. სხდომის მიმდინარეობის ჩაწერა შესაძლებელია ელექტრონული საშუალებების გამოყენებითაც.
5. სხდომის ოქმი თან ერთვის დისციპლინურ საქმეს.

მუხლი 46. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნა

1. პირის მიმართ, რომელსაც დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეიძლება გამოყენებული იქნეს პასუხისმგებლობის მოხსნის პროცედურა. აღნიშნული არ ვრცელდება იმ პირის მიმართ, რომელიც დისციპლინური გადაცდომის გამო განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ან მას დაეკისრა თანხის დაქვითვა შრომის ანაზღაურებიდან.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდებ პირს ან მართვის ორგანოს უფლება აქვს პირს ვადამდე ადრე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა ან თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა პირმა.
3. თუ პირს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.
4. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა ფორმდება წერილობით სამ პირად. ერთი პირი რჩება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში, ერთი გადაეცემა ეთიკის კომისიას, ხოლო მესამე პირი გადაეცემა თვით ამ პირს.
5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა შეიტანება პირად საქმეში.

მუხლი 47. სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა და მის მიმართ დისციპლინური დევნა

1. სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში მის მიმარ აღიძრება დისციპლინური დევნა.
2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს დადგენილი წესით.
3. ნებისმიერ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევასთან განიხილავს და წყვეტს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.
4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.
5. სტუდენტის მიმართ ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის გამო გადაწყვეტილების მიღების თაობაზე შუამდგომლობა ფაკულტეტის საბჭოში დასაშვებია ეთიკის კოდექსის შესაბამისი ნორმების დარღვევიდან 3 თვის ვადაში.

ამ ვადის გასვლის შემდგომ შუამდგომლობა და შესაბამისად დისციპლინური საქმისწარმოება არ განხორციელდება. დადგენილი ვადის აღდგენა დასაშვებია, თუ არსებობს ვადის არაბრალეულად გაშვების შემთხვევა, კერძოდ, – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით.

6.დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს ამ კოდექსიდან. დადგენილი ვადის ამოწურვისთანავე პირს ეხსნება დისციპლინური პასუხისმგებლობა, გარდა შემთხვევისა, როდესაც სტუდენტს შეუწყდა სტატუსი.

7. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო. სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

8. დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს საბჭოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

9. დისციპლინური დევნის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური დევნის საფუძველია უნდა გამოიკვლიოს ფაკულტეტის საბჭომ.

10. სტუდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ფაკულტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

11. ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევისათვის:

ა) სტუდენტს შეიძლება მიეცეს გაფრთხილება;

ბ) სტუდენტს შეიძლება შეუწყდეს სტატუსი.

12. სტუდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გათვალისწინებული დასჯადი ქმედების ჩადენისას, უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს.